დანართი 1

გიორგი შამათავა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე - კომისიის თავჯდომარე,
ვლადიმერ სუჯაშვილი -უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
ბესარიონ იოსელიანი - მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
გოჩა ჯანელიძე - -პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;
ლანა ლომიძე - პერსონალის მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი - კომისიის მდივანი.

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახურში ოპერატიული მართვის ცენტრის და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის საშტატო განრიგით გათვალიწინებულ თანამდებობაზე შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახურში ოპერატიული მართვის ცენტრის და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის საშტატო განრიგით გათალიწინებული თანამდებობაზე შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახურში ოპერატიული მართვის ცენტრის და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის საშტატო განრიგით გათალიწინებულ თანამდებობაზე შერჩევა.

ბ) კომისიას, მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში, კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შეუძლია შესაბამისი დარგის ექსპერტის/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი.

1. კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მისი მონაცემების შესაბამისობას უსაფრთხოების სამსახურში ოპერატიული მართვის ცენტრის და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის საშტატო განრიგით გათალიწინებულ თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლის გასაუბრებას.
2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსის შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას და გასაუბრების შედეგებს, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში/ოქმებში.
4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და უსაფრთხოების სამსახურში ოპერატიული მართვის ცენტრის და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის საშტატო განრიგით გათალიწინებულ პოზიციაზე შერჩეულად ითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.